



## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 97

2013 წლის 11 ივლისი  
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #226 განკარგულებაში  
ცვლილების შეტანის შესახებ

„ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. განხორციელდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #226 განკარგულების შესაბამისად დამტკიცებულ „ხაშურის მუნიციპალიტეტში სოფლად სპორტის აღორძინებისა და განვითარების ხელშეწყობის პროგრამაში“
2. ცვლილებების გათვალისწინებით განკარგულება ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.
3. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
4. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. #13) ერთი თვის განმავლობაში

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე

# ხაშურის მუნიციპალიტეტში სოფლად სპორტის აღორძინებისა და განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

## მუხლი 1. პროგრამის მიზანი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სოფლებში სპორტის ეროვნული და პოპულარული სახეობების განვითარების ხელშეწყობა, ახალგაზრდა სპორტსმენთა საქართველოს, რეგიონალური და მუნიციპალური დონის შეჯიბრებებში მონაწილეობის მაქსიმალური მხარდჭერა, რაც ხელს შეუწყობს სოფლად ახალგაზრდა სპორტსმენთა შემდგომ დაოსტატებას და მაღალი სპორტული შედეგების მიღწევას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში სპორტული ღონისძიებების ორგანიზება, სპორტის სხვა და სხვა სახეობების ჯგუფების ჩამოყალიბება და სავარჯიშო პირობების მოწესრიგების ხელშეწყობა.

არსებული პროგრამის განხორციელებას საფუძვლად უდევს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“.

## მუხლი 2. პროგრამის არსი.

ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებისათვის საჭირო თანხით პროგრამის დაფინანსებას.

## მუხლი 3. პროგრამის გავრცელების არეალი და სტრუქტურა.

მოქმედი სპორტული ჯგუფები:

დაბა სურამი \_ ჭადრაკი (1 ჯგუფი)

დაბა სურამი \_ ძიუდო (1 ჯგუფი)

სოფ. ვაყაში \_ ძიუდოში (1 ჯგუფი)

სოფელ ალში \_ ქართული ჭიდაობა; (2 ჯგუფი)

სოფელ გომში \_ ჭადრაკი; (1 ჯგუფი)

სოფელ გომში \_ ფეხბურთი; (1 ჯგუფი)

სოფელ ფლევი \_ ქართულ ჭიდაობაში; (1 ჯგუფი)

სოფელ ოსიაურში \_ ქართული ჭიდაობა; 2 ჯგუფი

სოფელ ცხრამუხაში \_ ფეხბურთი; (1 ჯგუფი)

სპორტული მონაცემების მქონე მოზარდების გამოვლენა ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში.

#### მუხლი 4. პროგრამის ხანგრძლივობა.

პროგრამის მოქმედების ვადაა 2013 წლის 1 იანვრიდან --- 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

#### მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი.

პროგრამის დასაფინანსებლად საჭიროა **25240** ლარი. რაც მოიცავს მონაწილეთა შრომის ანაზღაურებას და აუცილებელ სამივლინებო ხარჯებს.

პროგრამის ეფექტურად ამოქმედებისათვის საჭიროა:

- ა) სპეციალისტები, რომლებიც მუნიციპალიტეტის დასახლებებში სოფლების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შეისწავლიან სპორტული ცხოვრებით დაინტერესებული მოზარდების კონტიგენტს, უზრუნველყოფენ სპორტულ ჯგუფებში მათ გაერთიანებას, განსაკუთრებული სპორტული მონაცემების მქონე ახალგაზრდების გამოვლენას და ხელშეწყობას, განახორციელებენ სოფლად სპორტის აღორძინების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვას და მათ ორგანიზებას.
- ბ) მწვრთნელ-მასწავლებლები რომლებიც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრიდან მოშორებული სოფლების ახალგაზრდებისათვის განახორციელებენ სასწავლო საწვრთნელ მეცადინეობებს სპორტის პოპულარულ სახეობებში.

ხარჯის დასახელება	იანვარი-მაისი	ივნისი-დეკემბერი	სულ:
ხელფასი	101 00 ლარი	14 140 ლარი	24240
მივლინება			400
სხვა საქონელი			600
სულ			25240

#### მუხლი 6. პროგრამის შედეგი.

პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში სპორტსმენთა შემდგომ დაოსტატებას და სპორტული გამოცდილების შეძენას, სოფლად ახალგაზრდა თაობის სწორ აღზრდას და გაჯანსაღებას, სპორტის ეროვნულ და ოლიმპიურ სახეობათა პოპულარიზაციასა და პერსპექტიულ სპორტსმენთა წარმოჩენას.